პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

24 ივლისი ოთხშაბათი 1968

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 49-ე წელი • № 171 (14167)

628 ათასი მეტრით მეტი

ქუთაისი. (საკ. კორ.). აბრეშუმის კომბინატის კოლექტივმა ვადამდე შეასრულა ნახევარი წლის დავალება და 628 ათასი მეტრით მეტი ძვირფასი აბრეშუმის ქსოვილი გამოუშვა.

ფეიქრებმა დავალებას ყველა ნომენკლატურის მისედვით გადაამეტეს. გეგმის ზევით გამოუშვეს 465 კილოგრამი ნართი. ამასთან პირველი ხარისხის ქსოვილების გამოშვებამ 68,6 პროცენტს მიაღწია და გათვალისწინებულს 8,5 პროცენტით გადააჭარბა.

ქუთაისი — ვაჟიანი ფეხბურთი

მეაბრეშუმეთა წარმატებანი

იბრძვიან რა ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, ჩვენი ქვეყნის მეაბრეშუმეებმა წარმატებით — 106 პროცენტით შეასრულეს სახელმწიფოსათვის აბრეშუმის პარკის მიყიდვის წლიური გეგმა.

დამამზადებელ პუნქტებს ჩაბარდა 35 ათასი ტონა აბრეშუმის პარკი.

უზბეკეთის სს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა სახელმწიფოს მიაყიდეს 19 ათასი ტონა აბრეშუმის ნედლეული, ანუ გეგმა 112 პროცენტით შეასრულეს, აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის მშრომელებმა — 3,7 ათასი ტონა, ანუ გეგმა 109 პროცენტით შეასრულეს, საქართველოს სს რესპუბლიკის მშრომელებმა — 3,5 ათასი ტონა, ანუ გეგმა 110 პროცენტით შეასრულეს, თურქმენეთის სს რესპუბლიკის მშრომელებმა — 3,2 ათასი ტონა, ანუ გეგმა 116 პროცენტით შეასრულეს, ყირგიზეთის სს რესპუბლიკის მშრომელებმა — 716 ტონა, ანუ გეგმა 102 პროცენტით შეასრულეს, სახელმწიფოსათვის აბრეშუმის პარკის მიყიდვა გრძელდება. (საკ.ინ.).

დროშა ნუკრიანელებს

ხიდნაღი. (საკ. კორ.). ამ დღეებში ნუკრიანის კოლმეურნეობა „პარიზის კომუნის“ სხდომათა დარბაზში დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი. 1967 წელს რესპუბლიკის კოლმეურნეობებს შორის სოციალისტურ შეჯიბრებაში სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების საქმეში მოპოვებული წარმატებებისათვის მათ გადაეცათ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგემ ი. ხარისჩარიშვილმა გარდამავალი წითელი დროშა საზეიმო ვითარებაში გადასცა კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ს. კოკოლიშვილს.

პარტიის ხიდნაღის რაიკომის პირველმა მდივანმა დ. გელაშვილმა კოლმეურნეებს მიულოცა გარდამავალი დროშის მიღება და უსურვა ახალ-ახალი წარმატებანი მომდინარე სამეურნეო წელსაც.

ენგურჰესელთა პატაკი

 მაღალი საწარმოო მაჩვენებლით დაამთავრეს მორე ჟარტალი ენგურჰესის მშენებლებმა. განხორციელებულია 9618 ათასი მანეთის სამუშაო, რაც ჟარტალური გეგმის 100,2 პროცენტს შეადგენს.

სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა ვარდნილი ჰესების სამმართველო (უფროსი ფ. ჩუბინიძე, მთავარი ინჟინერი ო. ჭინჭარაული, პარტორგანიზაციის მდივანი გ. ყოლბაია), რომელმაც ჟარტალური გეგმა 127 პროცენტით გაანაღდა.

მეორე ადგილზეა კაშხალმშენის სამმართველოს (უფროსი გ. ჭყონია, მთავარი ინჟინერი ნ. ეფუნეარი, პარტორგანიზაციის მდივანი გ. ნემსიწვერიძე) კოლექტივი. მან ნაცვლად 945 ათასი მანეთისა 1124 ათასი მანეთი აითვისა, რითაც გეგმა 118,9 პროცენტით შეასრულა.

გადაჭარბებით (102,3 და 102,1 პროცენტით) გაანაღდეს გეგმა გვირაბმშენისა და ძალოვანი ჟანძის სამმართველოთა მშენებლებმაც.

ედ. კვირკია.

სკოლიდან ცხოვრებაში

ახალგაზრდას ათი-თერთმეტი წლის მანძილზე, რაც ხანი საშუალო სკოლაში სწავლობდა, თანაკლასელებთან ერთ ბერქვეშ, ერთ ბედქვეშ ეიდვილებოდა თავისი წილი ცხოვრებისეული ჭაპანის წევა. ჭაბუკისა და ქალიშვილისათვის სასკოლო ხანა ცხოვრების, შრომის ყველაზე ორგანიზებული პერიოდია — მათთან ერთად ოჯახი, სკოლა, მასწავლებელი, მთელი კლასი. ცხოვრებისა და შრომის ასეთ ორგანიზებულ პერიოდში შეელევნ ისინი, როცა გააგრძელებენ სწავლას ან ჩაებმებიან შრომაში. მაგრამ მანამდე? — ეი ერთ-ერთი ყველაზე რთული პერიოდი ახალგაზრდის ცხოვრებაში. ეს გასლავთ შუალედი, რომელიც დეკს საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატის მიღებასა და სწავლის გაგრძელებას ან დამოუკიდებელი შრომის დაწყებას შორის.

გარკვეულია პერიოდი პირველ ბედნიერ შემთხვევაში, იგი იმ შემთხვევაში, როცა საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ახალგაზრდა წელსვე კონკურსში რომ გაიმარჯვებს, ჩაირიცხება უმაღლეს სასწავლებელში, ან გააგრძელებს სწავლას ტექნიკუმში, პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში. ეს პერიოდი ორიოდე თვეს მოიცავს.

მეორე შემთხვევაში, შრომითი საქმიანობის დაწყების შემთხვევაში, პერიოდი, შესაძლოა, მოკლე იყოს — საშუალო სკოლის კურსდამთავრებულმა პირდაპირ მიაშუროს შშობლიურ კოლმეურნეობას ან საბჭოთა მეურნეობას, ქარხანას ან შშენებლობას, მუშაობა დაიწყოს დაწესებულებაში. ეს კარგი და მისასალმებელია. მაგრამ, შესაძლოა, ახალგაზრდას თვეებიც გაუვიდეს ძიებაში, გაურკვევლობაში, არჩევანი.

სწორედ აქ, ამ გარდამავალ პერიოდში — დღეებს მოიცავს იგი თუ თვეებს — ჭაბუკს და ქალიშვილს ყველაზე მეტად სჭირდება დახმარება, ხელშეწყობა, რჩევა-დარიგება, საქმიანი ზრუნვა. ამ პერიოდში დაუფიქრებელი ნაბიჯს, შეუფერებელი პროფესიის არჩევას, ისეთი საქმის გამოდევნებას, რომელიც ახალგაზრდის ფიზიკურ მონაცემებსაც ალემატება და გონებრივსაც, — შეუძლია ცუდი დაღი დასვას მთელ მის ცხოვრებას.

სკოლა არც ამ პერიოდში ტოვებს „ბედის ანაბარა“ თავის აღზრდილს. ჭაბუკი თუ ქალიშვილი თავისი შთაგონების წყაროს მუდამ პოულობს ოჯახსა და აღმზრდელ სკოლაში. სკოლა მუდამ მზად არის რჩევა-დარიგებითა და ზრუნვით გზა გაუკაფოს ახალგაზრდას, მაგრამ ამ უკანასკნელის ბედის გადაწყვეტაში ოჯახთან და სკოლასთან ერთად აქტიურ მონაწილეობას იღებენ საწარმო-დაწესებულებები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლები.

დიდხანს ემახსოვრებათ დედაქალაქის ლენინის რაიონის საშუალო სკოლის კურსდამთავრებულ ჭაბუკებსა და ქალიშვილებს ის შშობლიური შეხვედრა, რაც მათ მოუწყეს რაიონის პარტიულმა, საბჭოთა, კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, საწარმოთა და უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელებმა. შეხვედრის თემა პროფესიის არჩევა, მომავლის გზების განსაზღვრა იყო.

— საშუალო სკოლის ყველა კურსდამთავრებულს ვერ დაატევს ჩვენი უმაღლესი სასწავლებლები, — ამბობს შეხვედრის მონაწილე, კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის მუშა — ამწყობი ზეინკალი, სოციალისტური შრომის გმირი; საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი შ. ფირცხალავა, — მოდით ჩვენთანაც, ჩვენი წარმოების კარიც ღიაა თქვენთვის და ჩვენი მუშური გულიც!..

და მართლაც. მარტო წელს ათეულ ათასობით ჭაბუკმა და ქალიშვილმა დაამთავრა საშუალო სკოლა. თუ ამას მიეკუმატებთ წინა წლებში იმ გამოშვებულთა რაოდენობას, რომლებსაც სურთ უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის გაგრძელება, — მაშინ უზარმაზარ ციფრს მივიღებთ; მათს საგრძნობ ნაწილს, რომ იტაკვიან, ბედი გაუღიმებს — გაიმარჯვებს კონკურსში და ჩაირიცხება უმაღლესში. ასეთი იქნება 13.075 კაცი, იმდენი, რამდენიც გასულ წელს. მათ შორის დღის განყოფილებაზე შევა 6.600 კაცი, საღამოსაზე — 3.190, დაუსწრებელზე — 3.285 კაცი. დიდება დღის სტაციონარზე მოსწავლე სტუდენტთა რიცხვი და შესაბამისად მცირდება კოხტინგენტი სადამოს და განსაკუთრებით დაუსწრებელ განყოფილებაზე.

დიდია უმაღლეს სასწავლებელთა ამოცანები ამ დარჩენილ დროში — ყველაფერი მოამზადონ გამოცდების ნორმალურად ჩატარებისათვის, ფართოდ გააცნონ ახალგაზრდობას პროფესიები და მათი მნიშვნელობა.

დიდძალ ახალგაზრდობას ელის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემა. სახალხო მეურნეობის მოთხოვნათა საფუძველზე მომავალი სასწავლო წლიდან აღნიშნული სისტემის სასწავლებლებში ახალგაზრდები შეისწავლიან 170 პროფესიასა და სპეციალობას. წელს ქალაქის პროფტექნიკურ სასწავლებლებში 19.000 კაცს მიიღებენ, ათასი კაცით მეტს, ვიდრე გასულ წელს მიიღეს.

პროფესიის, სპეციალობის შესწავლა ახალგაზრდას გზას უხსნის უკეთესი მომავლისაკენ უდიდესი ტექნიკური პროგრესის ჩვენს ეპოქაში.

პროფესიულ-ტექნიკურ და ტექნიკურ სასწავლებლებში აღზრდილი კვალიფიციური სპეციალისტებით კომპლექტდებიან ჩვენი ფაბრიკები და ქარხნები, მშენებლობები, სახალხო მეურნეობის ფრიად მნიშვნელოვანი უბნები. კვალიფიციურ ახალგაზრდა მუშას, რომელსაც პრაქტიკული გამოცდილება ექნება, მეტი შანსი აქვს მოხვდეს უმაღლეს სასწავლებელში. ახალგაზრდებს უნდა მოვაგონოთ, რომ დაწესებულია შეღავათები საწარმოთა მოწინავეებისათვის, რომლებსაც აქვთ პრაქტიკული მუშაობის სტაჟი და გაგზავნილი ორად სასწავლებლად წარმოებისაგან მოწყვეტით. თუ წარმატებით ჩააბარებენ მისაღებ გამოცდებს, მათ ექნებათ უპირატესობანი ჩარიცხვის დროს იმ აბიტურიენტებთან შედარებით, რომლებსაც თუმცა აქვთ ორი წლის სტაჟი, მაგრამ არა აქვთ სპეციალური მომზადება. ასე რომ წარმოებაში შრომა ახალგაზრდას არათუ არ უფლობს, არამედ უხსნის გზას უმაღლესი სასწავლებლისაკენ.

ახალგაზრდობის საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის შესახებ სკკპ XXIII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებები რომ ხორციელდება, სულ უფრო იზრდება საშუალო სკოლების მოსწავლეთა რიცხვი. ახლა მეტად მნიშვნელოვანია დაეხმაროთ თვითეულ ახალგაზრდას სწორად განსაზღვროს თავისი გზა, უფრო სწრაფად ჩაებას საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში ან განაგრძოს სწავლა. თქვენ გელიან, ახალგაზრდებო, უმაღლესი სასწავლებლები, ტექნიკუმები, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები, ტექნიკური სასწავლებლები, თქვენთვის მომზადებულია ან ამზადებენ სამუშაო ადგილს საწარმოებსა და დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. თქვენი შრომითი საქმიანობის ან სტუდენტური ცხოვრების დაწყება ემთხვევა იმ წელს, როცა მთელი საბჭოთა ხალხი სიუვარულით აღნიშნავს თქვენი აღმზრდელისა და ავანგარდის, პარტიის უახლოესი თანაშემწის — ლენინური კომკავშირის ოქროს იუბილეს — ახალი წარმატებებით უნდა შეხვდეთ ამ ღირსეულ თარიღს, რათა კიდევ უფრო ნაყოფიერი იყოს თქვენი ახალგაზრდული შემოქმედებითი შრომა და შემართება დიდი ლენინის დაბადების მოახლოებული 100 წლისთავის ისტორიული იუბილესათვის.

ახალგაზრდობის შრომითი მოწყობის საქმეში, საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა მომავლის განსაზღვრაში პარტიული ორგანიზაციების უახლესი თანაშემწენი უნდა იყონ იმ ობიექტების კომკავშირული ორგანიზაციები, რომლებიც სამუშაოდ თუ სასწავლად ელიან საშუალო სკოლის კურსდამთავრებულ ჭაბუკებსა და ქალიშვილებს.

სამინისტროები და უწყებები, საწარმოთა ხელმძღვანელები, ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები და კომკავშირული ორგანიზაციები მოფიქრებით უნდა წყვეტდნენ ყველა საკითხსა და პრობლემას, რაც დაკავშირებულია ჩვენი ქვეყნის საიმედო შვილთა მომავლის განსაზღვრასთან, საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა იმ არმიისათვის ზრუნვასთან, რომელიც ემატება ჩვენს მუშათა კლასს, კოლმეურნე გლეხობას, სტუდენტ ახალგაზრდობას.

ფართო გზა ახალგაზრდობას ცხოვრებაში! დაე თვითეული ჭაბუკისა და ქალიშვილის მამაცური შრომა და ბეჯითი სწავლა მძლავრ მაჯისცემად ერთვოდეს ჩვენს მჩქეფარე ცხოვრებას.

ვეჰდოთ ბედი ახალგაზრდობისა მაშინაც, როცა იგი სკოლიდან ცხოვრებაში გადის!

თბილისის ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხნის საამწყობო საამქროში შრომობს ელექტრომემონტაჟეთა კომუნისტური შრომის ბრიგადა, რომელსაც ო. ხოლუაშვილი ხელმძღვანელობს. სურათზე: ბრიგადირი ო. ხოლუაშვილი (მარცხნივ) და ბრიგადის წევრი თ. ფეიქრიშვილი ამონტაჟებენ ელმავლის ხელსაწყოებს.

ფოტო ბ. კეკელიძისა.

პარტიული აქტივის კრებებზე

პარტიის ნებაა ხალხის ნებაა

ცხინვალი

გაიმართა საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის სოფლის და ცხინვალის საქალაქო ორგანიზაციების აქტივის კრება. მოხსენება სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის შედეგების შესახებ გააკეთა პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა გ. ჯესოევმა. მოხსენების ირგვლივ გაიმართა კამათში მონაწილეობა მიიღეს ცხინვალის საქალაქო, ლენინგორისა და ჯავის რაიონული კომიტეტების პირველმა მდივნებმა ზ. თედეევმა, ა. მარკოევმა, უ. ხანიკოევმა, მწერალმა თ. გაგლოევმა, ცხინვალის ავტომშენებელი ქარხნის დირექტორმა რ. ნიკურაძემ, სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორმა ზ. ცხოვრებოვმა.

აქტივის კრებამ ერთსულოვნად მიიღო რეზოლუცია, რომელშიც მთლიანად იწონებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის შედეგებს.

(საკ. კორ.).

რუსთავი

გაიმართა რუსთავის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება. მოხსენება სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1968 წლის ივლისის პლენუმის შედეგების შესახებ გააკეთა საქართველოს კომპარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ლ. ხარბედიამ.

კამათში გამოვიდნენ მეტალურგიული ქარხნის დირექტორი ს. შარაძენიძე, ქიმიური კომბინატის აზოტიანი სასუქების ქარხნის პარტბიუროს მდივანი ლ. ჩარკვიანი, საბრძმედე საამქროს უფროსი ოსტატი, სოციალისტური შრომის გმირი ა. ძამაშვილი, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ნ. სოფრომაძე და სხვები, რომლებმაც მოიწონეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებანი.

ერთსულოვნად მიღებულ რეზოლუციაში აქტივის მონაწილეებმა მთლიანად და სავსებით მოიწონეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის დადგენილება და მიიღეს განუზრელი ხელმძღვანელობისათვის. (საქდისი).

უსწრაფესად ავითვისოთ საპროექტო სიმძლავრენი

ვაღამდე — 10 მილიონი ბოთლი

თბილისის შამპანური ღვინოების ქარხნის პროდუქციას სულ უფრო მეტი თაყვანისმცემელი უნდება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. ამ ორიოდე წლის წინათ ჩვენს ქალაქში გამართულ ღვინოების საერთაშორისო კონგრესზე თბილისურმა შამპანურმა ორი ოქროსა და ხუთი ვერცხლის მედლები მოიპოვა. ამკობდა ქარხანაში (დირექტორი გ. ახალედანი) ნაყოფიერად შრომობენ საწარმოო გეგმის მნიშვნელოვანი გადაჭარბებისათვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, საწარმოო სიმძლავრეთა მაქსიმალურად ამოქმედებისათვის.

დასავლეთევროპიდან მეტალურგიული აპარატურა თაოსნობამ დიდი მხარდაჭერა ჰპოვა ქარხნის კოლექტივში. მან შეამოწმა თავისი შესაძლებლობანი და გადაწყვიტა: ქარხნის მთლიანი რეკონსტრუქცია დაამთავროს არა 1970 წელს, როგორც ეს გეგმით იყო გათვალისწინებული, არამედ 1969 წლის 7 ნოემბრისათვის, რითაც სამშობლოს ვადაზე ადრე მისცემს 10 მილიონ ბოთლ მაღალხარისხოვან შამპანურს და 2,5-ჯერ გადააჭარბებს ქარხნის თავდაპირველ საპროექტო სიმძლავრეს.

გარდა ამისა, თბილისელი მეღვინეები კისრულობენ:

1. 1968 წლის 7 ნოემბრისათვის მთელი სიმძლავრით აამუშაონ რეზერვუარული შამპანური ჩამომსხმელი ავტომატური ხაზი (საათში 6000 ბოთლი წარმადობისა), ხოლო 1968 წლის 15 დეკემბრისათვის ტირაჟული შამპანურის ჩამომსხმელი ავტომატური ხაზი (საათში 3000 ბოთლი წარმადობისა).

2. 1969 წლის პირველი იანვრისათვის დაამთავრონ ახალი საკომპრესორო საამქროს მშენებლობა, რომლის წარმადობა საათში 1.400.000 კილოკალორია იქნება.

3. 1969 წლის დეკემბრის ბოლოსათვის რეზერვუარული შამპანურის ჩამომსხმელი საამქრო ახლად აშენებულ კორპუსში მოაწყონ.

4. ფართოდ დანერგავენ რეზერვუარული შამპანურის ნაკადური მეთოდით დამზადებას და მის სრულ ავტომატიზაციას 1969 წლის ბოლოსათვის განახორციელებენ.

5. 1969 წლის 30 დეკემბრისათვის წარმოებაში არსებული ყველა მაწყანა-დანადგარი და ავტომატური ხაზი გადაეცემა საექსპლოატაციოდ და საპასპორტო სიმძლავრით იმუშავებს.

თბილისელი მეღვინეები ენერგიულად შეუდგნენ ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებას.

თბილისი. სართავ-სატრიოტაჟო კომბინატის საქსოვ საამქროში.



ხიდნაღის რაიონი. პურეულის აღება სოფელ ულიანოვკის კოლმეურნეობაში.

ზუგდიდის რაიონი. ჩაის კრეფა ინგირის სახელობის საბჭოთა მეურნეობაში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

წინსვლის ციფრები

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1968 წლის პირველი ნახევრის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ

საბჭოთა საქართველოს მშრომელებმა, გააჩაღეს რა სოციალისტური შეჯიბრება ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, განვლილ ნახევარ წელიწადში ახალი წარმატებანი მოიპოვეს ეკონომიკის განვითარებასა და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებაში.

1. მრეწველობა

რეალიზებული პროდუქციის მოცულობისა და მეტ წილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა ნაწარმის გამოშვების წლის პირველი ნახევრის გეგმა გადაჭარბებით შესრულდა, 1967 წლის პირველ ნახევართან შედარებით მრეწველობის პროდუქციის წარმოება 7 პროცენტით გაიზარდა.

მრეწველობის ცალკეულ დარგებში პროდუქციის გამოშვება გადიდდა:

ელექტროენერგია	24 პროცენტით
სათბობის მრეწველობა	5
შავი მეტალურგია	2
ფერადი მეტალურგია	21
ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობა	8
მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება	9
ხე-ტყის, ხისდამამუშავებელი და ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობა	6
საშენ მასალათა მრეწველობა	8
მსუბუქი მრეწველობა	11
აქედან საფეიქრო მრეწველობა	12
კვების მრეწველობა	2
აქედან:	
ალკოჰოლის, ყველის და რძისა	9
მეღვინეობა	2
ჩაის მრეწველობა	3
თამბაქოს მრეწველობა	8

წლის პირველი ნახევრის დამლევს დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადაყვანილია 300-ზე მეტი სამრეწველო საწარმო, რომლებიც მთელი სამრეწველო პროდუქციის 41 პროცენტს უშვებენ. ახალი სისტემით მუშაობს ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობის, ხელსაწყოთმშენებლობისა და ავტომატიზაციის საშუალებათა და მართვის სისტემათა, ნავთობმომპოვებელი მრეწველობის, ელექტროტექნიკური მრეწველობის, მძიმე, ენერგეტიკული და სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის, სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის, თევზის მრეწველობის სამინისტროთა ყველა საწარმო.

საწარმოებმა, რომლებიც ახალ პირობებში მუშაობენ, პროდუქციის რეალიზაციის წლის პირველი ნახევრის გეგმა შეასრულეს 105 პროცენტით. ზრდამ 1967 წლის პირველ ნახევართან შედარებით პროდუქციის რეალიზაციაში შეადგინა 8 პროცენტი, სამრეწველო პროდუქციის წარმოებაში — 7 პროცენტი, შრომის ნაყოფიერებაში — 4 პროცენტი.

პროდუქციის რეალიზაციის გეგმის შესრულებას და წარმოების ზრდას ტემპს ცალკეულ სამინისტროთა და უწყებათა ხაზით ახასიათებს შემდეგი მონაცემები:

	1968 წლის პირველი ნახევრის გეგმის შესრულება პროცენტებით	1968 წლის I ნახევარი პროცენტებით 1967 წლის I ნახევრთან შედარებით
ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის მთავარი სამმართველო	99,8	123
ქიმიური მრეწველობის სამმართველო	84	108
ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობის სამინისტრო	101	103
საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო	85	101
მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო	102	111
კვების მრეწველობის სამინისტრო	109	102
ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო	107	103
„საქჩაისერგხბლობსტანი“	125	107
სოფლის მეურნეობის სამინისტრო	109	118
რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკა“	102	103
ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო	111	124
პერეული პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობას სახელმწიფო კომიტეტი	106	101
კომუნალური მეურნეობის სამინისტრო	103	107

(დასასრული მე-2 გვერდზე)

რუსთავი. ახე იბადება ქართული ფოლადი.

წინსვლის ციფრები

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული
ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ბნოგა

(დასასრული)

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1968 წლის პირველი ნახევრის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ

პროდუქციის რეალიზაციის გეგმის შესრულებამ და წარმოების ზრდის ტემმმა ქალაქ თბილისში, ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქებში შეადგინეს:

	1968 წლის I ნახევრის გეგმის შესრულების პროცენტები	1968 წლის I ნახევარი პროცენტებით 1967 წლის I ნახევართან შედარებით
ქ. თბილისი	103	107
აფხაზეთის ასსრ	108	103
აჭარის ასსრ	103	102
სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი	109	109

ძირითად სახეობათა მრეწველობის პროდუქციის წარმოებას მთლიანად რესპუბლიკაში ახასიათებს შემდეგი მონაცემები:

	წარმოებულია 1968 წლის I ნახევარში	1968 წლის I ნახევარი პროცენტებით 1967 წლის I ნახევართან შედარებით
ელექტროენერგია (საერთო სარგებლობის ელექტროსადგურები და ბლოკსადგურები) — მილიონ კილოვატ-საათი	3.862	120
ქვანახშირი — ათასი ტონა	1.120	97
თუჯი — ათასი ტონა	427	106
ფოლადი — ათასი ტონა	742	102
ნაგლინი სულ — ათასი ტონა	607	103
აქედან მზა ნაგლინი	586	103
ფოლადის მილები:		
მილიონი მეტრი	12	111
ათასი ტონა	232	109
კოქსი საერთო — ათასი ტონა	333	103
მინერალური სასუქები (პირობითი ერთეულებით) — ათასი ტონი	277	106
სატვირთო ავტომობილები — ცალი	6.005	146
ლითონსაჭრელი ჩარხები — ცალი	1.906	94
სამგზავლოტალო ელმავლები — ცალი	49	57
ციმენტი — ათასი ტონა	703	97
შიფერი — მილიონი პირობითი ფილა	33	103
ასბესტოსი რკინაბეტონის კონსტრუქციები და დეტალები — ათასი კუბური მეტრი ნაკეთობა	409	100,2
ქაღალდი — ათასი ტონა	15	95
ავეჯი —მილიონი მანეთის	15	113
პიანინო — ცალი	2052	88
სარეცხი მანქანები — ათასი ცალი	66	112
ბამბის ქსოვილები — მილიონი კვადრატული მეტრი	27	101
შალის ქსოვილები — ათასი კვადრატული მეტრი	3.666	118
აბრეშუმის ქსოვილები — მილიონი კვადრატული მეტრი	13	117
წინდა — ათასი წყვილი	8.412	102
ტრიკოტაჟის საცვალი — ათასი ცალი	9.444	97
ზედა ტრიკოტაჟი — ათასი ცალი	3.533	121
ტყავის ფეხსაცმელი — ათასი ცალი	6.911	107
ხორცი* — ათასი ტონა	16	91
ყველი* — ათასი ტონა	6	103
კონსერვები — მილიონი პირობითი ქილა	18	120
მარგარინის ნაწარმი — ათასი ტონა	6	74
კარაქი* — ტონა	371	95
მცენარეული ზეთი — ათასი ტონა	7	126
მოუხდელი რძის პროდუქცია რძეზე გადაანგარიშებით — ათასი ტონა	43	111
ნატურალური ხარისხოვანი დაფასებული ჩაი — ათასი ტონა	9	114
ყურძნის ღვინო* — მილიონი დეკალიტრი	6	105
შამპანური — მილიონი ბოთლი	4	105
პაპიროსი და სიგარეტი — მილიარდი ცალი	6	90

1967 წლის პირველ ნახევართან შედარებით წარმოებულია მეტი: თუჯი — 23 ათასი ტონა, ფოლადი — 16 ათასი ტონა, ნაგლინი — 16 ათასი ტონა, ელექტროენერგია — 653 მილიონი კილოვატ-საათი, მინერალური სასუქი — 15 ათასი ტონა, სატვირთო ავტომობილები — 1.885 ცალი, შიფერი— 1 მილიონი პირობითი ფილა და სხვ.

გადიდდა სახალხო მოხმარების საგნების წარმოება: ყველა სახეობის ქსოვილებისა — 3 მილიონი კვადრატული მეტრით, ტრიკოტაჟის ნაწარმისა — 317 ათასი ცალით, წინდისა — 161 ათასი წყვილით, ავეჯის — 2 მილიონი მანეთით, ტყავის ფეხსაცმლისა — 480 ათასი წყვილით, სარეცხი მანქანებისა — 6.975 ცალით, მცენარეული ზეთისა — 1 ათასი ტონით, კონსერვებისა — 3 მილიონი პირობითი ქილით, მოუხდელი რძის პროდუქციისა — 4 ათასი ტონით.

შრომის ნაყოფიერების ზრდამ 1967 წლის პირველ ნახევართან შედარებით მთლიანად რესპუბლიკის მრეწველობაში შეადგინა 4 პროცენტი, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსადმი დაქვემდებარებულ მრეწველობაში — 3 პროცენტი.

მოგების გეგმა მთლიანად სახალხო მეურნეობაში 2,4 პროცენტის ნაგეგმარებით შესრულდა.

გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მოგება საქართველოს სს რესპუბლიკაში გაიზარდა 15,2 პროცენტით, ხოლო მრეწველობაში — 6,5 პროცენტით.

თუმცა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულდა პროდუქციის რეალიზაციის გეგმა, მაგრამ ნატურალური გამოხატულებით ვერ უზრუნველყვეს პროდუქციის წარმოების გეგმის შესრულება: სატყეო, ცელულოზა-ქაღალდისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობის სამინისტრომ — წვნიანი ფანერისა, ცელულოზისა, ქაღალდისა, სინთეზურ ფისებზე მერქნის ბოჭკოშელის თიღებისა; მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ — ბამბის ქსოვილებისა, ტრიკოტაჟის საცვლისა; ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ — ბამბის და აბრეშუმის ქსოვილებისა, რბილი სახურავისა.

რესპუბლიკის სამეცნიერო-საკვლევი, საპროექტო, საკონსტრუქტორო ორგანიზაციები და სამრეწველო საწარმოები განაგრძობდნენ მუშაობას სახალხო მეურნეობის ყველა დარგში შემდგომი ტექნიკური პროგრესის პრობლემების გადაჭრაზე, ახალი ტექნოლოგიური პროცესების, წარმოების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დანერგვაზე. ათვისებულია სრიალი წარმოება მრავალი სახეობის ახალი პროდუქციისა, რომლებიც შეესაბამება თანამედროვე ტექნიკურ მოთხოვნებს.

სახალხო მეურნეობაში დანერგილია გამოგონებანი და რაციონალიზატორული წინადადებები 1967 წლის პირველი ნახევრის დონეზე. ამასთან ცალკეულმა საწარმოებმა ვერ შესრულეს მათთვის დადგენილი დავალებანი ახალი ტექნიკის დანერგვისა.

2. სოფლის მეურნეობა

რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა წარმატებით დაამთავრეს მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოები; შესრულდა საგაზაფხულო თესვის დასახული გეგმა. მთლიანად და გადაჭარბებით შესრულდა სიმინდის, შაქრის ჭარხლის, მზესუმზირას, კარტოფილის, ბოსტნეულის, მრავალი წლის საფარქვეშა ბალახის თესვის გეგმა.

ყველა ჯანგრძელობის მეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესი ფართობი 1968 წლის მოსავლისათვის 745 ათასი ჰექტარი იყო.

კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა დაიწყეს მოსავლის აღება. 1968 წლის 1 ივლისისათვის მთელ დათესილ ფართობზე მომწიფდა 30 ათასი ჰექტარი სიმშრდგომი და სანგზაფხულო მარცვლეული, ანუ 13 პროცენტი. მიმდინარეობს თიბვისა და საკვების დამზადების სამუშაოები.

1968 წლის 15 ივნისისათვის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გაათავეს 1.870 ჰექტარი ხეხილის ბაღები, 657 ჰექტარი ვენახები, 46 ჰექტარი ციტრუსების პლანტაციები, 474 ჰექტარი ჩაის ნარგავები, 114 ჰექტარი დაფნის ნარგავები.

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში **სატრაქტორო სამუშაოები** წარმოებულია პირობით ხვნაზე გადაყვანით 2.486 ათას ჰექტარზე, ანუ 10 პროცენტით მეტი, ვიდრე გასული წლის პირველ ნახევარში.

1968 წლის 1 ივლისისათვის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში იყო 650 ათასი სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, აქედან 171,5 ათასი ძროხა; 208,5 ათასი სული ღორი, 1.802,9 ათასი სული ცხვარი და თხა, 3.154,6 ათასი ფრთა ფრინველი.

ერთ ძროხაზე რძის საშუალო წველადობა გადიდდა 6 პროცენტით, ქათმების მეკვერცხულობა — 2 პროცენტით.

რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გაიზარდა **მეცხოველეობის** პროდუქტების წარმოება. გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით წარმოებულია მეტი: ხორცი — 16 პროცენტით, რძე — 4 პროცენტით, კვერცხი — 14 პროცენტით.

მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების ზრდამ, რაც მიღწეულია პირუტყვის პროდუქტიულობის გაზრდების შედეგად, საშუალება მოგვცა გაგვეზიდინა **სახელმწიფო შესყიდვები.** ყველა კატეგორიის მეურნეობებში მეცხოველეობის პროდუქტების შესყიდვამ შეადგინა:

	პირველი ნახევარი 1967 წ.	1968 წ.	1968 წ. პროცენტებით 1967 წლთან შედარებით
პირუტყვი და ფრინველი (ცოცხალი წონა) — ათასი ტონა	22,7	23,2	102
რძე — ათასი ტონა	83,7	87,5	104
კვერცხი — მილიონი ცალი	69,4	74.3	107
მატყლი — ათასი ცენტნერი	24,9	24,7	99,0

პირუტყვისა და ფრინველის შესყიდვის ნახევარი წლის გეგმა შესრულდა 110 პროცენტით, რძისა — 108 პროცენტისა, კვერცხისა — 114 პროცენტით, მატყლისა — 112 პროცენტით. რესპუბლიკის თითქმის ყველა რაიონმა შეასრულა მეცხოველეობის ძირითადი პროდუქტების შესყიდვის ნახევარი წლის გეგმა.

გრძელდებოდა **სასოფლო-სამეურნეო წარმოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის** შემდგომი განმტკიცება. განვლილ ნახევარ წელიწადში სოფლის მეურნეობამ მიიღო: 1. 659 ტრაქტორი — ფიზიკური ერთეული, ანუ 2.779 15-ძალიანზე გაანგარიშებით, 556 სატვირთო ავტომობილი, 243 მარცვალსალაღები კომბაინი, 1.305 ტრაქტორის გუთანი, 535 სათესელა, 432 კულტივატორი, 315 საოშავი მანქანა, 479 სათიბელა, 94 უნივერსალური სატვირთავი, 35 დასაწვიმებელი მანქანა, 207 მინერალური სასუქების მომბნევი, 11 ჰერბიციდ-ამოაკის მანქანა. მიწოდებულია აგრეთვე 251 ათასი ტონა მინერალური სასუქები.

3. ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა

ამიერკავკასიის რკინიგზამ (საქართველოს სსრ ტერიტორიაზე) ტვირთის გაგზავნის ნახევარი წლის გეგმა შეასრულა 104 პროცენტით, აქედან: ქვანახშირისა — 108 პროცენტით, შავი ლითონებისა — 100,9 პროცენტით, ნავთობისა — 109 პროცენტით, ყოველგვარი მადნისა და მინერალური სასუქისა — 104 პროცენტით.

საშუალო სადღეღამისო დატვირთვის ნახევარი წლის გეგმა შესრულებულია 103 პროცენტით. მაგრამ ვერ შესრულდა სატვირთო მატარებლის საშუალო სადღეღამისო გადმოტვირთვის, საუბნო სიჩქარის, სატვირთო ვაგონის ერთ ტექნიკურ სადგურში და ერთი სატვირთო ოპერაციისათვის დგომის საშუალო დროის, აგრეთვე ბრუნვის საშუალო დროის გეგმა.

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტმა 1968 წლის პირველ ნახევარში გადაზიდა 36,6 მილიონი ტონა ტვირთი, ამასთან გავლილია 495 მილიონ ტონა-კილომეტრზე მეტი. ტვირთზიდვის ნახევარი წლის გეგმა შესრულებულია 103 პროცენტით, ტვირთბრუნვისა — 98 პროცენტით. 1967 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ტვირთზიდვა და ტვირთბრუნვა 3 პროცენტით გადიდდა.

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ავტობუსებმა გადაიყვანეს 215 მილიონზე მეტი მგზავრი და გაიარეს მილიონნახევარზე მეტი მგზავრ-კილომეტრი. მგზავრების გადაყვანის ნახევარი წლის გეგმა შესრულებულია 94 პროცენტით, მგზავრბრუნვისა — 97 პროცენტით. 1967 წლის პირველ ნახევართან შედარებით მგზავრთა გადაყვანა გაიზარდა 2 პროცენტით, მგზავრბრუნვა — 5 პროცენტით.

მსუბუქი ტაქსომოტორების ფასიანი გარბენის ნახევარი წლის გეგმა შესრულებულია 102 პროცენტით. 1967 წლის პირველ ნახევართან შედარებით მათ მიერ შესრულებულ სამუშაოთა მოცულობა 16 პროცენტით გაიზარდა.

1968 წლის პირველ ნახევარში დამთავრდა საზოგადოებრივი სარგებლობის ყველა ავტომეურნეობის გადაყვანა დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ წესზე.

საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ტერიტორიული სამმართველოს **საჰაერო ტრანსპორტმა** მიმდინარე წლის პირველ ნახევარში გადაიყვანა 562 ათასი მგზავრი და შეასრულა 595 მილიონი მგზავრ-კილომეტრი. 1967 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ავიატრანსპორტით მგზავრთა გადაყვანა გაიზარდა 20 პროცენტით, მგზავრბრუნვა — 22 პროცენტით. მგზავრების გადაყვანის 1968 წლის პირველი ნახევრის გეგმა შესრულებულია 106 პროცენტით, მგზავრბრუნვისა — 108 პროცენტით.

გზატკეცილების მთავარმა სამმართველომ საავტომობილო გზების შეკეთების ნახევარი წლის გეგმა (ადგილობრივი გზების გარდა) — დამატებითი დავალების გათვალისწინებით — 108 პროცენტით შეასრულა. 1967 წლის პირველ ნახევართან შედარებით გზების შეკეთების შესრულებულ სამუშაოთა მოცულობა 7 პროცენტით გადიდდა.

საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრომ წლის პირველი ნახევრის შემოსავლის გეგმა 101 პროცენტით შეასრულა, აქედან: საფოსტო კავშირგაბმულობისა — 104 პროცენტით, სატელეგრაფო კავშირგაბმულობისა — 101 პროცენტით, საქალაქთაშორისო სატელეფონო კავშირგაბმულობისა — 95 პროცენტით, რადიოფიკაციისა — 101 პროცენტით.

წლის პირველ ნახევარში გაიხსნა კავშირგაბმულობის 20 ახალი განყოფილება და საექსპლოატაციოდ გადაეცა 4 ავტომატური სატელეფონო სადგური სოფლად.

4. კაპიტალური მშენებლობა

მიმდინარე წლის პირველი ნახევრის მანძილზე სახელმწიფო კაპიტალური დაბანდების თანხებით **ამოქმედდა 105 მილიონი მანეთის ძირითადი ფონდები.**

ამოქმედდა ახალი საწარმოო სიმძლავრეები: საექსპლოატაციო ნავთობის ჭაბურღილი, ასაწყობი რკინაბეტონის ნაწარმისა — 20 ათასი კუბური მეტრი, სხვადასხვა ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზები სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციისათვის — 660 კილომეტრი, აქედან კოლმეურნეობების სახსრებით — 174 კილომეტრი, სარწყავი სისტემები, მეცხოველეობის სადგომები მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, ღორის, ცხვრისა და სხვა საქონლისათვის.

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში სახელმწიფო გეგმით გათვალისწინებულმა კაპიტალურმა დაბანდებებმა რესპუბლიკაში შეადგინა 253 მილიონი მანეთი, აქედან: სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებისამ — 144 მილიონი მანეთი. 1967 წლის პირველ ნახევართან შედარებით კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა გაიზარდა 6 პროცენტით, აქედან: სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებისა — 2 პროცენტით.

5. ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესება და კულტურული დონის ამაღლება

მუშათა და მოსამსახურეთა რიცხვმა სახალხო მეურნეობაში გასული ნახევარი წლის მანძილზე შეადგინა საშუალოდ 1.320 ათასი კაცი და გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით 4 პროცენტით გადიდდა.

საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1967 წლის სექტემბრის პლენუმის დადგენილების შესაბამისად მიმდინარე წლის I ნახევრიდან გადიდებულია სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მუშათა და მოსამსახურეთა ხელფასის მინიმალური ოდენობა 40-45 მანეთიდან 60 მანეთამდე თვეში.

სატარიფო განაკვეთები გაუდიდდათ სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მანქანათმშენებლო და ლითონდასამუშავებელი საწარმოებისა და საამქროების მეჩარხე მუშებს. შვებულების ხანგრძლივობა 15 სამუშაო დღემდე გაუდიდდათ იმ მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებსაც წინათ ჰქონდათ შვებულება 12 სამუშაო დღის საერთო ხანგრძლივობისა.

მიმდინარე წლის პირველი ნახევრის დამლევისათვის **ხუთ სამუშაო** და ორდასვენებიანი დღის კალენდარი გადავიდა 1 მილიონზე მეტი მუშა და მოსამსახურე.

მუშებისა და მოსამსახურეთა ნამდვილი ანაგარიში ხელფასი, გასული წლის შესაბამისი პერიოდთან შედარებით გაიზარდა 7 პროცენტით გაიზარდა. 3 პროცენტით გადიდდა კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება.

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში პროფესიულ-ტექნიკური განათლების სასწავლებლებმა და სკოლებმა მოამზადეს და მრეწველობაში, მშენებლობაზე, ტრანსპორტზე და სოფლის მეურნეობაში სამეშაოდ გაგზავნეს დაახლოებით 8 ათასი ახალგაზრდა კვალიფიციური მუშა.

1968 წლის პირველ ნახევარში მოსახლეობის ანაბრები შემნახველ სალაროებში 11 მილიონ მანეთამდე გადიდდა გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.

1968 წლის პირველ ნახევარში სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვის საერთო მოცულობამ შეადგინა 887 მილიონი მანეთი და შესადარ ფასებში 9 პროცენტით გადიდდა. საცალო საქონელბრუნვის ნახევარი წლის გეგმა შესრულდა 100 პროცენტით.

ცალკეული საქონლის გაყიდვა სახელმწიფო და კოოპერაციულ ვაჭრობაში შემდეგნაირად შეიცვალა:

	1968 წლის I ნახევარში გაყიდულია	პროცენტებით 1967 წლის I ნახევართან შედარებით
ხორცი და ხორცის პროდუქტები		107
კარაქი		110
მცენარეული ზეთი		104
რძე და რძის პროდუქტები		110
ყველი		121
კვერცხი		103
საკონდიტრო ნაწარმი		109
კარტოფილი		104
ბოსტნეული		117
ამრეშუმის ქსოვილები		101
შეკერილი საქონელი		113
წინდა		107
ტყავის ფეხსაცმელი		106
ავეჯი		112
საკერავი მანქანები		104
სპორტული საქონელი		105
რადიოსაქონელი		109

რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოები და სავაჭრო ორგანიზაციები ვერ კიდევ საკმაოდ ვერ ითვალისწინებენ მოსახლეობის გადიდებულ მოთხოვნას საქონლის ასორტიმენტსა და ხარისხზე, რაც ზრდის საქონლის მარაგს სავაჭრო ორგანიზაციებში.

1968 წლის 1 ივლისისათვის საქონლის მარაგმა რესპუბლიკაში შეადგინა 501,5 მილიონი მანეთი, რაც 33,2 მილიონი მანეთით აღემატება გასული წლის შესაბამის პერიოდს.

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში დიდი ოდენობით ხორციელდებოდა საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობა.

სახელმწიფო სახსრებითა და საბინაო-სამშენებლო კოოპერაციის სახსრებით წლის პირველ ნახევარში საექსპლოატაციოდ გადაცემულია 127 ათასი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები.

მწყობრში ჩადგა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები 592 მოსწავლისათვის, სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებანი — 560 ბავშვისათვის.

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობა 1967 წლის პირველ ნახევართან შედარებით გადიდდა 12 პროცენტით, აქედან ქალაქად — 9 პროცენტით, სოფლად — 24 პროცენტით. მაგრამ არ შესრულებულა საყოფაცხოვრებო მომსახურების ნახევარი წლის გეგმა. საყოფაცხოვრებო საწარმოთა ქსელი საკმარისი არ არის, განსაკუთრებით სოფლად; მოსახლეობის მომსახურების ხარისხი და კულტურა ჯერ კიდევ ვერ არის სათანადო დონეზე.

გასული ნახევარ წელიწადში გრძელდებოდა რესპუბლიკის ქალაქებისა და სოფლების ყოთილმოწყობის სამუშაოები. **მიმდინარეობდა საცხოვრებელი სახლების გაზიფიკაციის სამუშაოები.** გასული ნახევარ წელიწადში გაზიფიცირებულია 41 ათასზე მეტი ბინა, მათ შორის ქსელის გაზით — 10 ათასი ბინა.

მიღწეულია შემდგომი წარმატებანი **სახალხო განათლების, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში.**

სხვადასხვა სახეობის სწავლებაში ჩაბმულია მილიონ-ასი ათასზე მეტი კაცი, აქედან 952 ათასზე მეტი სწავლობდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, მათ შორის 54 ათასი — მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში.

1968 წელს რვაწლიანი სკოლა დაამთავრა 80 ათასმა ბავშვმა და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა — 57 ათასზე მეტმა; მათ შორის მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში საშუალო განათლება მიიღო 10 ათასზე მეტმა კაცმა.

მიმდინარე წელს სახალხო მეურნეობაში იგზავნება 20 ათასზე მეტი სპეციალისტი, რომლებმაც დაამთავრეს უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლები, მათ შორის დაახლოებით 11 ათასი უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტი და 9 ათასზე მეტი — საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტი. შარშანდელთან შედარებით უმაღლესსა სასწავლებლებსა და ტექნიკუმებმა გაადიდეს გამოშვება 2.987 კაცით, ანუ 17 პროცენტით.

გრძელდებოდა მშრომელთა **საპენსიო უზრუნველყოფის გაუმჯობესება.** 1968 წლის 1 იანვრიდან 5 წლით შეუმცირდათ მოხუცებულობის გამო პენსიის დანიშვნისათვის საჭირო ასაკი კოლმეურნეობათა წევრებს, საფეიერო მრეწველობის საწარმოთა ცალკეული პროფესიების მუშებს, რომლებიც დასაქმებული არიან შრომის გადიდებული ინტენსივობის სამუშაოებზე; პენსიათა ოდენობა გაუიდიდათ ომის I და II ჯგუფების ცალკეული კატეგორიების ინვალიდებს და პენსიათა მინიმალური ოდენობა III ჯგუფის ომის ინვალიდებს; პენსიათა მინიმალური ოდენობა გაუიდიდათ კოლმეურნეობათა წევრებს — I და II ჯგუფების შრომის ინვალიდებს და სხვ.

გრძელდებოდა მოსახლეობისადმი სამედიცინო დახმარების შემდგომი გაუმჯობესება. გაფართოვდა საავადმყოფოების, დისპანსერების, პოლიკლინიკებისა და ამბულატორიების, სანატორიუმებისა და ჯანმრთელობის დაცვის სხვა დაწესებულებების ქსელი; გადიდდა საწოლების რიცხვი რესპუბლიკის სამედიცინო დაწესებულებებში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტში

რაციონალურად გამოვიყენოთ ტყავის ნედლეულის რესურსები

უკანასკნელი წლების მანძილზე რესპუბლიკაში მნიშვნელოვნად გადიდდა ტყავის ფეხსაცმლის წარმოება, გაფართოვდა ფეხსაცმლის ასორტიმენტი.

მაგრამ საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ტყავის საწარმოთა მუშაობაში არსებითი ნაკლოვანებებია. ჯერ კიდევ დაბალია პროდუქციის ხარისხი, რაციონალურად არ იყენებენ ტყავის ნედლეულს. ამის შედეგად გამოუყენებელი რჩება წარმოების ეკონომიური ეფექტიანობის ამაღლების მნიშვნელოვანი რეზერვები. ამ საწარმოებში ირღვევა ტექნოლოგიური რეჟიმი, სუსტად ინერგება ნედლეულის დამუშავების პროგრესული მეთოდები და ჯეროვანი ყურადღება არ ეძცევა მათი ტექნოლოგიური აღჭურვილობის გაუმჯობესებას.

ასეთი ფაქტები არის თბილისის № 1 ტყავის ქარხანაში, ქუთაისის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატის № 2 ქარხანაში, ბათუმის № 3 ტყავის ქარხანასა და სხვა საწარმოებში.

ნაკლოვანებებისა და საწარმოო ხარვეზების გამო დიდძალ ტყავს დამატებით ამუშავებენ, რის შედეგადაც იზრდება მისი წარმოების ხარჯები. ნახევრფაბრიკატების ცუდი დამზადებისა და ტექნოლოგიური რეჟიმების დარღვევის გამო ტყავის მნიშვნელოვანი რაოდენობა ნაკუწებად იქცევა. შრობის პროცესში ტყავის ცუდი გამოყენა, აგრეთვე სისქით ტყავის არასრული და არაბარისხოვანი გახერხვა ნედლეულის დაკარგვას იწვევს. ტყავის საქონლის ხარისხიანობის შემცირებას ხელს უწყობს აგრეთვე ტყავის დროზე მიღების, სწორი დახარისხებისა და შენახვის სამუშაოთა არადამაკმაყოფილებელი ორგანიზაცია.

რესპუბლიკის ტყავის საწარმოთა მუშაობაში ეს ნაკლოვანებები და დარღვევები პირველ რიგში იმის შედეგია, რომ ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი მკაცრად არ უწევს კონტროლს წარმოების ტექნოლოგიურ პროცესებსა და დადგენილ მეთოდიკას. აქ შემცირებულია ტექნიკური კონტროლის განყოფილებებისა და საქარხნო ლაბორატორიების როლი, შექმნილი არ არის შეუწყნარებლობის ვითარება წუნმდებლებისადმი და ნედლეულის და მასალების არარაციონალურად გამოყენების საკითხებისადმი.

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა განიხილა და იმსჯელა ნედლეულის არადამაკმაყოფილებელი გამოყენებისა და საქონლის დაბალი ხარისხის საკითხზე და რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს დაავალა განახორციელოს ღონისძიებანი გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის; განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს იმას, რომ საჭიროა განმტკიცებულ იქნას ტყავის საწარმოთა საწარმოო-ტექნიკური ბაზა, რომ ტყავნედლეულის ქარხნებმა მკაცრად დაიცვან ნედლეულის მიღების, დამუშავების, შენახვისა და გაცემის წესი.

ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს წინადადება მიეცა განახორციელოს ღონისძიებანი, რომ პირუტყვის დაკვლისა და გატყავების დროს დაიცვან ტექნოლოგიური პროცესების წესები, სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაევალა გააძლიეროს კონტროლი პირუტყვის სწორი შენახვისადმი.

ქუთაისის № 2 ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატის დირექტორს ვ. ლობიძეს გამოეცხადა საყვედური იმის გამო, რომ ვერ უზრუნველყო მუშაობის ჯეროვანი ხელმძღვანელობა. ბათუმის ტყავ-ნედლეულის ქარხნის მთავარ ინჟინერს ს. ბურჭულაძეს გამოეცხადა საყვედური გადასამუშავებლად მიხაღები ტყავნედლეულის მიღების წესებისა და ვადების სისტემატური დარღვევისათვის.

მიეთითათ თბილისის № 2 ტყავის ქარხნის, ბათუმის № 3 ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატის დირექტორებს ა. ნაცვლიშვილს, ვ. ჯანიკაშვილსა და პ. ბერიძეს.

მიღებულ იქნა ცნობად, რომ საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო ახორციელებს ღონისძიებებს ტყავისა და ქურქ-ბეწვეულის ნედლეულის ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა გაითვალისწინა, რომ ნაკლი აქვს დიდძალ პირუტყვის ტყავს, რომელსაც ადგილობრივი დამამზადებლები იღებენ პირველადი დამუშავებისათვის, და დაავალა აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო კონტროლის კომიტეტებს შეამოწმონ, თუ როგორ ასრულებენ ცხოველშირის სისტემის დამამზადებელი კანტორები და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები მითითებებს მრეწველობისათვის მიწოდებული ტყავის ხარისხის გაუმჯობესებლის შესახებ, და განახორციელონ ღონისძიებანი გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

(საქდესი).

მეტი ყურადღება სოფლის კულტურას

ეროვნებათა საბჭოს სახალხო განათლების, მეცნიერებისა და კულტურის მუდმივ კომისიაში

22 ივლისს კრემლში გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს სახალხო განათლების, მეცნიერებისა და კულტურის მუდმივი კომისიის სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა კომისიის თავმჯდომარე, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის მთავარი სწავლული მდივანი დეპუტატი ი. ვ. პეტროვი.

კომისიამ მოისმინა სსრ კავშირის კულტურის მინისტრის ე. ა. ფურცევის მოხსენება სოფლად მოსახლეობის კულტურული მომსახურების გაუმჯობესების შესახებ. კომისიის წევრი დეპუტატები მოსამზადებელი ჯგუფის მიერ ამ საკითხის განხილვის შედეგების შესახებ ილაპარაკა დეპუტატმა ზ. ი. გუსეინოვამ.

ახორციელებენ რა სკკპ XXIII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებებს, საბჭოთა, პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციები და კულტურის დაწესებულებანი დიდ მუშაობას ეწევიან სოფლად მოსახლეობის კულტურული მომსახურების გაუმჯობესებისათვის. ბევრი კლუბი, კულტურის სახლი, ბიბლიოთეკა აქტიურად მონაწილეობს კომუნისტურ აღზრდაში, იკენებს მოსახლეობასთან მუშაობის საინტერესო ფორმებს. ყოველწლიურად სოფლის კლუბებში დადის 1,5 მილიარდი კაცი. აქ იკითხება სამ მილიონამდე ლექცია და მოხსენება, გამოდიან მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივები, მსახიობები, აჩვენებენ ინოფილმებს. გადიდდა ბიბლიოთეკებისა და მკითხველების რიცხვი.

ახლა სოფლად არის 330 ათასი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება და თითქმის 130 ათასი ინოდანადგარი.

მომხსენებელმა, სხდომაზე გამოსულმა კომისიის წევრებმა დეპუტატებმა ჩ. აიტმატოვმა, ვ. კ. გირფანოვმა, მ. ნ. ვლასოვამ, ა. ა. სურკოვმა და სხვებმა აღნიშნეს, რომ სოფლის მშრომელთა კულტურული მომსახურების დარგში სერიოზული ნაკლოვანებებიც არის. ჯერ კიდევ მცირეა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელი, ხოლო მოქმედი კლუბები, კულტურის სახლები, ბიბლიოთეკები მთელ რიგ ადგილებში შეუფერებელ შენობებშია. მთლიანად ვერ კმაყოფილდება სოფლის მოსახლეობის მოთხოვნილებანი კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სპორტულ საქონელზე. სასოფლო საბჭოები, კოლმეურნეობათა გამგეობები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები ჯეროვნად ვერ ეხმარებიან კულტურის დაწესებულებებს მატერიალური ბაზის განმტკიცებაში, კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაკთა კადრების შერჩევასა და აღზრდაში.

აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად კომისიამ მიი

საერთაშორისო ცხოვრება

ქრონიკა • პრობლემები

მსოფლიოს დეპეშათა საგენტოები იუწყებიან

მხოლოდ ფაქტები

□ **ბეირუთი**, 23 ივლისი. (საქდესი). ერაყის ახალმა მთავრობამ გუშინდლიდან გააუქმა დედაქალაქში — ბაღდადში კომენდანტის საათი. ამას იუწყება ბაღდადის რადიო.

□ **ვაშინგტონი**, 23 ივლისი. (საქდესი). შეერთებული შტატების პრეზიდენტი განუხრელად ეცდება საზღვარგარეთ და ამის მიზეზია ვიეტნამის ომი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეების მკვლელობა, რასიზმის თარეში. ასეთი დასკვნა გამოიტანეს საზოგადოებრივი აზრის ანალიზის ამერიკელმა სპეციალისტებმა. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გამოკითხვის მოწყობის შემდეგ ისინი გუშინ გამოვიდნენ წარმომადგენელთა პალატის საგარეო საქმეთა კომისიის ქვეკომისიის სხდომაზე.

□ **ლონდონი**, 23 ივლისი. (საქდესი). ინგლისის ხელისუფალთ განზრახული აქვთ მასობრივი დემონსტრაციების გასარეკად მომავალში გამოიყენონ ყველაზე რადიკალური ღონისძიებანი, მათ შორის ცრემლსადენი გაზებიც, განაცხადა ინგლისის შინაგან საქმეთა მინისტრმა ჯეიმს კალაგენმა თემთა პალატაში კამათის დროს.

მან თქვა, რომ პოლიციის მიერ დაკავებული დემონსტრაციათა მონაწილენი შეიძლება საპყრობილეში ჩასვან ორ წლამდე ვადით და რომ „ლონდონის პოლიციის შეუფებს სავსებით დაუჭერს მხარს, როცა საჭირო ღონისძიებებს განახორციელებენ ქუჩის მღელვარებათა ჩახშობისათვის“.

სოციალიზმის მჭრეს — საკადრისი პასუხი

ბერლინი, 23 ივლისი. (საქდესი). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო მიეხალმება ვარშავის შეხვედრის მონაწილე სოციალისტური ქვეყნების პარტიებისა და მთავრობების ხელმძღვანელთა წერილს ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი და სავსებით ეთანხმება ამ წერილის შინაარსს. ეს ნათქვამია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან არსებული პრესის სამსახურის ცნობაში გუშინ გამართული მინისტრთა საბჭოს სხდომის შესახებ, რომელიც აღნის საგენტომ გამოაქვეყნა.

წერილი გამოხატავს სოციალიზმისა და მშვიდობის საქმისათვის იმ ქვეყნების წარმომადგენელთა დიდ ერთობლივ პასუხისმგებლობას, რომლებმაც ხელი მოაწერეს ამ დოკუმენტს, აცხადებს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო. ჩეხოსლოვაკიაში ორგანიზებული ანტისოციალისტური კონტრრევოლუციური ძალების ხრიკების შედეგად შექმნილი საშიში მდგომარეობის გამო.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის განცხადება

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო გადაჭრით გმობს ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მიმართ კიზინგერ-შტრაუს-ბრანდტის მთავრობის ჩარევისა და დიფერენციების პოლიტიკას როგორც ცდას უფარგისი საშუალებებით განახორციელოს რევანშისტული გეგმები მგრძნობიარედ მოწყობული „ახალი აღმოსავლური პოლიტიკის“ ნიღბით. დასავლეთ-გერმანელ რევანშისტთა და მილიტარისტთა ეს ხრიკები საფრთხეს უქმნის არა მარტო ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის, არამედ აგრეთვე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების საარსებო ინტერესებს. ამიტომ საჭიროა სოციალიზმის მთელი ძალების ერთიანი და შეკავშირებული მოქმედება, რათა აღიკვეთოს იმპერიალისტთა ხრიკები.

მინისტრთა საბჭო გამოთქვამს იმედს, რომ ჩეხოსლოვაკიელი მშრომელები, შეგნებული აქვთ რა შექმნილი საფრთხე, გაერთიანდებიან თავიანთი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ანტისოციალისტური ელემენტების წინააღმდეგ შეკავშირებული მოქმედებისათვის და საკადრის პასუხს გასცემენ მათ.

საერთო საქმის დასაცავად

მონტევიდეო, 23 ივლისი. (საქდესი). ურუგვაის კომპარტიის ორგანომ გაზეთმა „პოპულარმა“ გამოაქვეყნა სტატია, რომელიც ეძღვნება ჩეხოსლოვაკიის უკანასკნელ ამბებსა და სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების დელეგაციათა ვარშავის შეხვედრის მონაწილეების ერთობლივ წერილს. სტატიაში ნათქვამია, რომ თავის საქმიანობაში თითოეული კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს ორი ძირითადი პრინციპით: სრული ავტონომიითა და სუვერენიტეტით საკითხებში, რომლებიც ამა თუ იმ ქვეყანას ეხება და პასუხისმგებლობით მთლიანად მოძრაობის წინაშე საერთაშორისო მუშათა კლასის წინაშე. „სწორედ ეს ჰქონდა მხედველობაში, — აღნიშნავს გაზეთი, — ეკრძალის ხუთ კომუნისტურ პარტიას, რომლებიც ვარშავაში შეიკრიბნენ, როცა ამხანაგურად მიაპყრეს ჩეხ ხელმძღვანელთა ყურადღება შინაგან პროცესებს, რომლებიც ფრაგად სამშინა ჩეხოსლოვაკიელი ხალხის მომავლისათვის, მშვიდობის საქმისათვის ევროპის ცენტრში“.

ურუგვაის „პოპულარი“ ჩეხოსლოვაკიაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ

ჩეხოსლოვაკიაში ანტისოციალისტური საქმიანობის ყველაზე შესამჩნევი ასპექტია, განაგრძობს „პოპულარი“, ის, რომ ინფორმაციის ძირითად საშუალებათა კონტროლი გადავიდა ანტისოციალისტური ელემენტების წარმომადგენელთა ხელში, რომლებმაც „გაშალეს სისტემატური კამპანია მოძმე სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ, სამხედრო ხელშეკრულებათა წინააღმდეგ, რომლებიც მათ აერთიანებს სამხედრო წვრთნის წინააღმდეგ, რომელიც ჩეხოსლოვაკიაში მიმდინარეობდა ვარშავის ხელშეკრულების გეგმების შესაბამისად. ხუთი პარტია ჩეხოსლოვაკიის ხელმძღვანელობას ყურადღებას მიაპყრობს ავრეთვე აშკარა კონტრრევოლუციის, ამერიკის დაზვერვის აგენტების მანევრებს, რომლებიც ჩეხოსლოვაკიაში მოქმედებენ, წერს „პოპულარი“. „აქედან, — ნათქვამია სტატიაში, — შეუძლებელია ვერ ვხედავდეთ, რომ საქმე ეხება სოციალისტური ჩეხოსლოვაკიის ყოფნა-არყოფნას“. გაზეთი აღნიშნავს, რომ სწორედ ამ მოსაზრებათა გამო განაცხადეს ვარშავის შეხვედრის მონაწილეებმა, რომ ძმურად უმფარნ მხარს სოციალისტურ ჩეხოსლოვაკიას, და რომ მას შეუძლია იქონიოს მოძმე ქვეყნების ყოვლმხრივი სოლიდარობის იმედი. ამითვე გამოწვეულია სკკპ წინადადება უმაღლეს დონეზე შეხვედრის შესახებ, რომელიც გაეგზავნა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიას.

მოსკოვში ჩამოვიდა

ჩეხოსლოვაკიის საგარეო ვაჭრობის მინისტრი

22 ივლისს მოსკოვში ჩამოვიდა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის მინისტრი ვაცლავ ვალეში.

შერემეტიევოს აეროდრომზე ვ. ვალეშს დახვდა სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრი ნ. ს. პატოლიჩევისა და ვ. ვალეშის შეხვედრა. საუბრის დროს განიხილეს საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის სავაჭრო ურთიერთობის საკითხები. (საკდესის კორ.).

პარტიზანთა წარმატებანი

ალჟირი, 22 ივლისი. (საქდესი). ამკამად გვინეისა და მწვანე კონცხის კუნძულების დამოუკიდებლობის აფრიკელთა პარტიის მებრძოლებმა პორტუგალიელი კოლონიზატორებისაგან გაწმინდეს ქვეყნის მთელი ტერიტორიის 66 პროცენტი, განაცხადა „ელ-მუჯაჰიდის“ კორესპონდენტისთვის მიცემულ ინტერვიუში გვინეისა და მწვანე კონცხის კუნძულების დამოუკიდებლობის აფრიკელთა პარტიის გენერალურმა მდივანმა ამილკარ კაბრალმა.

გასული წლის მანძილზე, აღნიშნა მან, საომარი ვითარება გვინეაში მნიშვნელოვნად შეიცვალა. გვინეისა და მწვანე კონცხის კუნძულების დამოუკიდებლობის აფრიკელთა პარტიის რაზმებმა შეიარაღებული ბრძოლა გააჩაღეს ბეგერ ახალ რაიონში. 1967 წელს გვინეელმა პატრიოტებმა 130 მძლავრი იერიში განახორციელეს პორტუგალიის ჯარების დისლოკაციის რაიონებში. წელს, ხაზი გაუსვა ა. კაბრალმა, მნიშვნელოვნად გაფართოვებულ მოქმედების ზონას.

გვინეისა და მწვანე კონცხის კუნძულების დამოუკიდებლობის აფრიკელთა პარტიის გენერალურმა მდივანმა აღნიშნა, რომ განთავისუფლებულ რაიონებში იქმნება მართვის ადგილობრივი სახალხო ორგანოები, შენდება სკოლები, საავადმყოფოები, იხსნება მაღაზიები მოსახლეობის სურსათით მომარაგებისათვის, ერთი სიტყვით, ამოდის ახალი სახელმწიფოს პირველი ყლორტები.

კამბოჯის მთავრობა უარყოფს

პნომ-პენი, 22 ივლისი. (საქდესი). დღეს აქ გამოქვეყნდა კამბოჯის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება იმის გამო, რომ ამას წინათ ამერიკის სამხედრო ხომალდი შემოიჭრა კამბოჯის ტერიტორიულ წყლებში. განცხადება ამასთან არის პასუხი ამერიკის მთავრობის მიმდინარე წლის 18 ივლისის წერილზე, რომელიც შეიცავდა თხოვნას ამერიკის გემის განთავისუფლების შესახებ.

კამბოჯის მთავრობა კატეგორიულად უარყოფს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის თხოვნას დაკავებული გემის ეკიპაჟის განთავისუფლების შესახებ. გემსა და ეკიპაჟს მოეპყრობიან კამბოჯის კანონმდებლობის შესაბამისად, აღნიშნულია დასასრულ განცხადებაში.

ტელეტაიპის ლენტიდან

● **ტაილანდი**

დაქირაველთა ახალი პარტია

ლონდონი, 23 ივლისი. (საქდესი). 22 ივლისს საიგონში ჩავიდა ამერიკის სატრანსპორტო გემი, რომელზეც ტაილანდის დივიზიის „შავი ავაზის“ 1.500 ჯარისკაცია, იუწყება რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი.

ამჟამად ტაილანდს, აღნიშნავს კორესპონდენტი, სამხრეთ ვიეტნამში ჰყავს დაახლოებით 2.500 კაცი და აპირებს აგვისტოს დამლევისათვის გააორკეცოს თავისი ჯარების რიცხვი.

● **კუბა**

გუნის მინისტრები ვაშინგტონში

ვაშინგტონი, 23 ივლისი. (საქდესი). დასავლეთ გერმანიის თავდაცვის მინისტრის შრედერის ვიზიტი ვაშინგტონში დაიწყო იმით, რომ იგი შეხვდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილეს და სახელმწიფო მდივნის მოადგილეს პოლიტიკურ საკითხებში იუჯინ როსტოუს.

რასკთან შეხვედრის შემდეგ შრედერმა განაცხადა, რომ მან განიხილეს ისეთი საკითხები, როგორიცაა ატომური იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულება და ამერიკის ჯარების განლაგება დასავლეთ გერმანიაში, აგრეთვე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ამასწინანდელი გადაწყვეტილება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიის გზებზე გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და დასავლეთ ბერლინს შორის მგზავრებისა და ვიზის რეჟიმის შემოღების შესახებ.

სამხედრო საკითხებს შრედერი განიხილავს თავდაცვის მინისტრ კლეფორდთან. მენტაგონი არაფერს ამბობს მოლაპარაკების დღის წესრიგის შესახებ. ამერიკელი მამამთავრები კი აღნიშნავენ, რომ შრედერი შეიცდება შეიტყოს მენტაგონის შეფისაგან, რამდენად გამოსატავს ამერიკის შერთებული შტატების მთავრობის განზრახვებს ბოთხოვნები, რომლებიც გაისმის კონგრესში ამერიკის ჯარების რიცხვის მნიშვნელოვნად შემცირების შესახებ დასავლეთ გერმანიაში.

ლ. ჯ. კალანდაძე

საბჭოთა მეცნიერების რიგებს დაკარგა მოაკლდა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე ლეონიდე პოლიევქტის-ძე კალანდაძე.

ლ. კალანდაძე დაიბადა 1898 წლის ნოემბერს სოფელ ხიდისთაკში (ჩოხატაურის რაიონი). პირველდაწყებითი განათლება მიიღო თავის ოჯახში, ხოლო 1908-დან 1917 წლამდე სწავლობდა ჭუთაისის რეალურ სასწავლებელში, რომელიც წარჩინებით დამთავრა. ამის შემდეგ, როგორც „პირველ მოწაფეს“, დაენიშნა ამიერკავკასიის სტიპენდია უმაღლეს სასწავლებელში.

1917 წელს ლ. ჯ. კალანდაძე შედის თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის აგრონომიულ ფაკულტეტზე, საიდანაც 1919 წელს გადადის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის აგრონომიულ განყოფილებაზე. 1923 წელს იგი უკვე ასისტენტია. ამავე თანამდებობაზე შეთავსებით მუშაობდა საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის ტროპიკულ სნეულებათა ინსტიტუტში. ამ პერიოდში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი შრომები სამედიცინო ენტომოლოგიის დარგში.

1925 წელს უნივერსიტეტის რექტორატის გადაწყვეტილებით იგი სამეცნიერო კვალიფიკაციის ასამაღლებლად იგზავნება გერმანიაში—ქ. მიუნხენში. აქ საფუძვლიანად გაეცნო ენტომოლოგიის დარგის უახლეს მიღწევებს და დაამთავრა თავისი სადისერტაციო შრომა, რომელიც გამოაქვეყნა იქვე გერმანულ ენაზე. 1927 წელს ეს შრომა წარადგინა სადოქტოროდ მიუხენის უნივერსიტეტში და წარმატებით დაიცვა იგი.

ლ. კალანდაძე საშობლოში დაბრუნდა 1928 წელს, როგორც საჩაიოდ ცნობილი მეცნიერი და მრავალი შრომის ავტორი. აქ იგი კვლავ განაგრძობდა მუშაობას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც 1931 წელს ირჩევენ პროფესორად და მცენარეთა დაცვის კათედრის გამგედ.

1930 წელს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტთან ჩამოყალიბდა მცენარეთა დაცვის ფაკულტეტი, რომლის ერთ-ერთი ორგანიზატორი და ხელმძღვანელი იყო პროფესორი ლ. კალანდაძე.

1945 წლიდან 5 წლის განმავლობაში იგი სათავეში ედგა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სასწავლო ნაწილს, როგორც დირექტორის მოადგილე.

ლ. კალანდაძე იყო სკკპ წევრი 1941 წლიდან და ითვლებოდა აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწედ, გამორჩეულად დავალებული საქმის პუნქტუალური შესრულებით, უარეს-ად პატიოსანი დამოკიდებულებით მოვალეობისადმი, არაერთხელ იყო არჩეული პარტიის ორკომიტეტის რაიონული კომიტეტის წევრად, რაისაბჭოს დეპუტატად.

პროფესორი ლ. კალანდაძე 1946 წლიდან არჩეული იყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, 1945 წელს მიენიჭა საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება, იყო საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი. იგი აგტორია 100-ზე მეტი სამეცნიერო შრომისა და 4 სახელმძღვანელოსი.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ დიდად დააფასეს მეროფესორ ლ. კალანდაძის დამსახურება მეცნიერებისა და საშობლოს წინაშე. იგი დაჯილდოებული იყო ლენინის ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენით, სპატაკი ნიშნის ორდენით და მედლებით.

გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერის და აღმშრდელის, დაუცხრომელი საზოგადო მოღვაწის, გულისხმიერი ადამიანისა და მოქალაქის პროფესორ ლ. კალანდაძის ღვაწლი მარად დაუვიწყარი იქნება მისი მეგობრების, ამხანაგებისა და მოწაფეებისათვის.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო და საქართველოს ენტომოლოგიური საზოგადოება, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო და საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაცვალა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ზოოლოგიისა და ზოგადი ენტომოლოგიის კათედრის გამგე, პროფესორი

ლეონიდე პოლიევქტის-ძე კალანდაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ლ. კალანდაძის დამკრძალავი კომისიისაგან

სამოქალაქო პანაშვიდი გაიმართება 24 ივლისს საღამოს 8 საათზე განსვენებულის ბინაში, კლარა ცეტკინის ქ. № 77.

გამოსვენება 25 ივლისს საღამოს 6 საათზე ტექნიკის სახლიდან.

შრომა და კაპიტალი

გაფიცვები, დემონსტრაციები

სამხრეთი ამერიკა. დემოკრატიისათვის იბრძვიან ურუგვაის მშრომელები. ქვეყანა მოიცვა მუშათა გაფიცვებმა, სტუდენტთა გამოსვლებმა. მშრომელები მოითხოვენ ხელფასის მომატებას ფასების გაზრდასთან დაკავშირებით. ურუგვაის მთავრობა გაძლიერებულ რეპრესიებს მიმართავს, ასობით გაფიცული მუშა და უმაღაფილო სტუდენტი დაპატიმრებულია. თვეზე მეტია ურუგვაიში მოქმედებს „უშიშროების განსაკუთრებული ღონისძიებანი“, რომლებიც მიმართულია მშრომელთა წინააღმდეგ.

სურათზე: მონტევიდეოში აპატიმრებენ დემონსტრაციის მონაწილეებს.

ფოტო „ერსილია“ — ახალი ამბების სააგენტოსი.

● **კოლუმბია**

ბოგბტა. გამარჯვებით დამთავრდა კოლუმბიის სანტანდერის დეპარტამენტის რამდენიმე ათასი მასწავლებლის 24 საათის გაფიცვა. გაფიცულნი მოითხოვდნენ ცხოვრებისა და შრომის პირობების გაუმჯობესებას, დათხოვნების შეწყვეტას.

მთელი კოლუმბიის ათობით ათასმა მასწავლებელმა მიიღო მონაწილეობა სოლიდარობის მოძრაობაში, რომელიც ამ ქვეყნის მასწავლებელთა ეროვნული ფედერაციის მოწვევით გაიშალა.

● **ვენესუელა**

კარაკასი. აქ მოიწყო დემონსტრაცია ვენესუელის ქალაქ პუერტო-იორდასის ტრანსპორტის გაფიცული მუშაკთა მხარდასაჭერად. პოლიციამ გარეკა დემონსტრანტები, რომლის დროსაც მოკვდა ერთი და დაიჭრა 14 კაცი. პოლიციელებმა ცეცხლი დაუშინეს დემონსტრანტებს და ავტომლსადენი გაზიანი გრანატები დაუყარეს მათ. რამდენიმე ათეული კაცი დაპატიმრებულია.

ტრანსპორტის მუშაკთა გაფიცვა გამოცხადდა იმის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, რომ ხელისუფლებს არ სურთ შეაკეთონ გზები.

რაიონში შემოღებულია საალეო წესები, ეროვნული გვარდიის რაზმები და შეიარაღებული ჯარისკაცები საპატრულო სამსახურს იწევიან. მიუხედავად ამისა, პუერტო-იორდასის ზოგიერთ რაიონში აღმართულია ბარიკადები.

● **კანადა**

ოტავა. ზემო ტბის პორტ-არტურისა და ფორტ-ვილიამის ნავსადგურებში გაიფიცა კანადის უდიდესი მარცვლის ელევატორების ტექნიკური პერსონალი — 1.300 კაცი. გაფიცულნი მოითხოვენ ახალი შრომითი კონტრაქტის დადებას, ხელფასის მომატებასა და შრომის პირობების გაუმჯობესებას.

გაფიცვის შედეგად შეწყდა კანადის დასავლეთ პროვინციებიდან მარცვლის გაგზავნა ამ ელევატორებში. (საქდესი).

ისრაელის აგრესიის წინააღმდეგ

ერაყის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადება

ბეირუთი, 22 ივლისი. (საქდესი). ერაყის მთავრობა ესწრაფვის „კონსტრუქციულ თანამშრომლობას ყველა არაბულ ქვეყანასთან“, განაცხადა ერაყის საგარეო საქმეთა მინისტრმა ნასერ ელ-ხანმმ ბაღდადში ლიბანელ ჟურნალისტთა ჯგუფთან საუბრის დროს. მან ხაზი გაუსვა ერაყის მტკიცე გადაწყვეტილებას, რომ სხვა არაბულ ქვეყნებთან ერთად იბრძოლოს „ოკუპირებული არაბული ტერიტორიების დაბრუნებისა და ისრაელის აგრესიის შედეგების ლიკვიდაციისათვის“.

ერაყის საგარეო საქმეთა მინისტრმა აღნიშნა, რომ იმპერიალისტური ისრაელის აგრესიის მოგერიებაში არაბი ხალხები ეყრდნობიან მეგობარ სახელმწიფოთა მხარდაჭერას და დასძინა: „განსაკუთრებით ხაზი უნდა გავუსვა საბჭოთა კავშირის პოზიციას, რომელსაც დიდ მადლობას ვუხდით გაერთიანებული ერების ორგანიზაციასა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში არაბთა საქმისათვის მტკიცე მხარდაჭერისა და ყოველმხრივი დახმარებისათვის, რასაც ერაყსა და სხვა არაბულ ქვეყნებს უწევენ“.

ერაყის მინისტრმა დაგმო ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთში და გაიღაშქრა იმის წინააღმდეგ, რომ ერაყმა შეერთებულ შტატებთან აღადგინოს დიპლომატიური ურთიერთობა, რომელიც ერაყმა შარშან გაწყვიტა ისრაელის აგრესიისათვის ამერიკის მხარდაჭერის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად. ამერიკის შეერთებული შტატები, თქვა მან, ახლაც სრულ მხარდაჭერას უწევს ისრაელს არაბთა ინტერესების საზიანოდ.

ზეიმი პოლონეთში

ვარშავა, 22 ივლისი. საქდესის კორესპონდენტი ვ. კუზნეცოვი იუწყება:

ზაფხულის მზის სხივებში გახვეული ახალხო პოლონეთი აღორძინების დღეს დღესასწაულობს. ოპტიმიზმით, სიხარულითა და საზეიმო განწყობილებით აღსავსეა დღეს პოლონეთის 900-ეე ქალაქი და ათეთასობით სხვა დასახლებული პუნქტი, რომლებიც თეთრ-წითელი და ნითელი ალმებით არის მორთული. ყველგან მოჩანს ტრანსპარანტები: „გაუმარჯოს 22 ივლისს!“, „გაუმარჯოს სოციალიზმს!“, „ძლიერი დამოუკიდებელი პოლონეთი — ეს არის სოციალისტური პოლონეთი, რომელიც მჭიდრო მეგობრობით და თანამშრომლობით დაკავშირებულია საბჭოთა კავშირთან“, „საბჭოთა კავშირთან მეგობრობა სახალხო პოლონეთის უშიშროებისა და განვითარების უერთგვეგი საწინდარია“.

დღეს ეროვნული დღესასწაულის აღსანიშნავად ვარშავაში იგრიალა სალუტმა. სულ 12 საათზე ადგილობრივი დროით დედაქალაქის მრავალი ათასი მცხოვრები, რომლებიც შეიკრიბნენ ქალაქის ცენტრში გამარჯვების ვრცელ მოედანზე, უცნობი ჯარისკაცის საფლავზე ვაბტის შეცვლის საზეიმო ცერემონიის მოწმენი გახდნენ.

დღეს ვარშავაში კულტურისა და მეცნიერების სასახლის ტექნიკის მუზეუმში გაიმართა ცერემონია, რომლის დროსაც სსრ კავშირის ელჩმა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში ა. ბ. არისტოვმა გადასცა მოსკოვის პოლიტექნიკური მუზეუმის სარეკვარი — გამოფენა „ავტომატიკა“.

დღესასწაულის წინ მთელმა პოლონეთმა ბატივი სცა იმათ ხსოვნას, ვინც სიცოცხლე გასწირა პოლონეთის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. საბჭოთა მეომრების — განმათავისუფლებლების სიფლავი შეაკეს ალისფერი მიხაკებით. საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ვარშავაში იულიან მარხლევსკის ძეგლი. ტრადიციის თანახმად საექსპლოატაციოდ გადასცეს ახალი საძრეწველო ობიექტები: სპილენძის მადნის შახტები ლუბინში, ჰიდროელექტროსადგური და კაშხალი ხოლინში, გიგანტური სლაბინგი ნოვაგუტაში, ახალი ელექტროფიცირებული მაგისტრალები, საცხოვრებელი სახლები და საავადმყოფოები.

დღეს პოლონეთში სახალხო სეირნობაა. ღია ეხტრადებზე კონცერტებს მართავენ ქვეყნის საუკეთესო მსახიობთა ძალები. ყველგან ომრთება ფეიერვალები, კარნავალები და სპორტული შეჯიბრებანი.

ყოველი რაზე წერს ეცხოვრის პრესა მსრიდან

მსოფლიო პრესა ხაზს უსვამს ცნობას, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ გათვალისწინა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის სურვილი და დათანხმდა ორმხრივი შეხვედრა მოეწყოს ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე. გაზეთები ხაზგასმით აღნიშნავენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობის ამ ნაბიჯის მნიშვნელობას.

საზღვარგარეთის პრესა დიდ ყურადღებას უთმობს აგრეთვე, გაზეთ „პრავდის“ სარედაქციო სტატიას „ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის თვალსაზრისის“ გამო. ბევრი ქვეყნის გაზეთები ბეჭდავენ ამ სტატიის დაწვრილებითს შინაარსს და აღნიშნავენ, რომ საბჭოთა კავშირი ისწრაფვის განამტკიცოს სოციალიზმისა და მთელი სოციალისტური თანამეგობრობის პოზიციები, განამტკიცოს ჩეხოსლოვაკიისა და სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა.

სოფიის გაზეთები იუწყებიან, რომ მთელ ბულგარეთში მიმდინარეობს კრებები და მიტინგები, რომლებზეც ბულგარეთის მშრომელნი მხარს უჭერენ კომუნისტური და მუშათა პარტიების დელეგაციების ვარშავის შეხვედრის მონაწილეთა პოზიციას.

სოციალისტური ქვეყნების გაზეთები, მსოფლიოს ბევრი სახელმწიფოს პროგრესული პრესა ამხილებენ იმპერიალისტური რეაქციის ხრიკებს, რომელიც ყოველ ღონეს ხმარობს, რათა ისარგებლოს ამჟამად ჩეხოსლოვაკიაში შექმნილი ვითარებით და აიძულონს ეს ქვეყანა სოციალისტურ გზას, ძირი გამოუთხაროს ან შეასუსტოს სოციალისტური ბანაკის ერთობა.

იმპერიალიზმის ხრიკებსა და პროვოკაციებს ცხადყოფს აგრეთვე თვით ამერიკის შეერთებული შტატების, დასავლეთ გერმანიის, ჩრდილოეთ ატლანტიკის სამხედრო ბლოკის წევრი სხვა ქვეყნების ბურჟუაზიული გაზეთების გამოსვლები, რომლებიც ყოველნაირად აქებენ ანტისოციალისტური, კონტრრევოლუციური ძალების საქმიანობას ჩეხოსლოვაკიაში.

კომენტარს უძღვნის რა ვიეტნამის ამბებს, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის პრესა გმობს ამერიკის შეერთებული შტატების პოზიციას, რომელიც განაგრძობს დანაშაულებრივ აგრესიას ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ და დაეინებით უარს ამბობს დაადგეს მშვიდობიანი მოწესრიგების გზას. იაპონურ „იომიურისა“ და „ასახის“ მიანნიათ, რომ ამას წინათ ჰონოლულუში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ჯონსონსა და საიგონის რეჟიმის „პრეზიდენტ“ თხიეუს შორის გამართული მოლაპარაკება მშვიდობის საქმეს კი არ ემსახურება, არამედ, პირიქით, მიზნად ისახავს აგრესიის განგრძობის გამართლებას. (საქდესი).

საქართველოს კომუნისტი № 7

გამოვიდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თეორიულ და პოლიტიკურ ჟურნალ „**საქართველოს კომუნისტის**“ მორიგი, მეშვიდე ნომერი.

ჟურნალი იხსნება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის **დ. სტურუას** სტატიით — კომუნისტებისა და უპარტიოების მარქსისტულ-ლენინური სწავლების შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

ჟურნალის განყოფილებებში — **ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის, პარტიული ცხოვრება, პარტიულ მუშაკთა დასახმარებლად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 50 წლისთავისათვის, წერილები და კორესპონდენციები, კრიტიკა და ბიბლიოგრაფია, პარტიული ქრონიკა** — დაბეჭდილია მრავალფეროვანი მასალები:

ს. ბარამიძე — ვ. ი. ლენინი მუშათა და გლეხთა კავშირის შესახებ; **ე. ბუნდაძე** — ვ. ი. ლენინი თავისუფალი შემოქმედებითი შრომის შესახებ; **ა. ციციშვილი** — საქართველოს კომპარტიის მოღვაწეობა ეროვნულ უმცირესობათა ინტერნაციონალური შეკავშირებისათვის (1921-1930 წ.წ.); **ნ. გვიშიანი** — ტექნიკური პროგრესი წარმოების ეფექტიანობის ზრდის აუცილებელი პირობაა; **გ. ჭაჭია** — ყოველმხრივ ავამაღლოთ პირველადი პარტორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობა; **პ. ფალავანდიშვილი** — მაღაროელი კომუნისტების შემართება; **გ. ჭოფუა** — განუხრელად მაღლდება კომუნისტების ინიციატივა და აქტივობა; **დ. ჯაქია, ვ. ჭარუმიძე** — უნივერსიტეტის პარტიული ორგანიზაცია დიდი სამამულო ომის პერიოდში; **მ. სარჯველაძე** — ახალი ეკონომიური რეფორმა მოქმედებაში.

ჟურნალში დაბეჭდილია აგრეთვე **ჰ. ხვადაძის, მ. ჯინჭველაშვილის, პ. რუსიტაშვილის, მ. გაფრინდაშვილის** წერილები.

ქალთა დისკრიმინაცია

ლონდონი, 23 ივლისი. (საქდესი). ქალის შრომის თანაბარი ანაზღაურების საკითხის გადაჭრა ინგლისში კვლავ გადადიდ განუსაზღვრელი ვადით. ასეთია იმ თათბირის შედეგები, რომელიც გუშინ გაიმართა დასაქმებისა და შრომის ნაყოფიერების საკითხთა მინისტრს ბარბარა კასლსა და ბრიტანეთის მრეწველობის კონფედერაციის გენერალურ დირექტორს ჯონ დევისს შორის.

ჟურნალისტ ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლონელ ხალხთან ერთად

ღირსშესანიშნავ თარიღს პოლონელი ხალხის ცხოვრებაში — პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის 24 წლისთავს მიეძღვნა თბილისის მშრომელთა წარმომადგენლების კრება, რომელიც 23 ივლისს გაიმართა.

საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების დარბაზში შეიკრიბნენ ქალაქის საწარმოთა მუშები და მოსამსახურეები, პარტიული და საბჭოთა მუშაკები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები.

კრება შესავალი სიტყვით გახსნა საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ა. ჟღენტმა.

მოხსენება მომძღვარ პოლონელი ხალხის ეროვნული დღესასწაულის შესახებ გააკეთა საბჭოთა კავშირ-პოლონეთის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების კამეგობის თავმჯდომარის მოადგილემ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა ი. ტაბაღუამ

ჩვენს ყველა-ჯერ-ში

გვაცყობინებენ „კომუნისტისა“ და საქდესის კორესპონდენტები

„მინდაციხის“ ხედი ამბროლაურის რაიონში. ფოტო შ. ჩხეტიანისა.

მოგზაურობა კავკასიონის გარშემო

ამას წინათ სოხუმში ავტობუსებით ჩამოვიდნენ სოჩელი ტურისტები. ამაში განსაკვირველი თითქოს არაფერია, ახალი ტურისტული მარშრუტი რომ არა. რამდენიმე დღის წინათ სოჩის საექსკურსიო ბიუროს ხელმძღვანელობით ისინი ზღვისპირეთიდან არმავირისა და მინერალური წყლების კურორტს ესტუმრნენ, შემდეგ კი კისლოვოდსკიდან ყაბარდო-ბალყარეთის დედაქალაქ ნალჩიკში ჩავიდნენ, იქიდან ორჯონიკიძეში გადავიდნენ და შემდეგ საქართველოს სამხედრო გზას გამოპყვნენ. ყაზბეგში დაისვენეს, მოაწყეს ლაშქრობა თოვლიან ბილიკებზე...

სოხუმში სტუმრებმა დაათვალიერეს ქალაქის ღირსშესანიშნაობანი. შემდეგ გაიარეს გაგრა...

მოგზაურობა კავკასიონის გარშემო უკვე საკავშირო მარშრუტად არის დამტკიცებული. გაფორმებულია სპეციალური საგზურები.

ნ. მიქაშავიძე

ახალი ტურისტული გაზა

ჟუთაისის საექსკურსიო ტურისტულ ბაზაში ერთი დღითაც არ წყდება ტურისტთა ნაკადი. ყოველდღიურად ჩამოდიან ახალ-ახალი ჯგუფები ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან. წელს ტურისტული ბაზა შვიდი საკავშირო ტურისტული მარშრუტის 22 ათასზე მეტ ტურისტს უნდა მოემსახუროს.

მრავალფეროვანია დამსვენებელთა საქმიანობა, ისინი ეცნობიან ქალაქს, მის ღირსშესანიშნავ ადგილებს, ისტორიულ წარსულს — გელათის მონასტერსა და სათაფლიის ნაკრძალს, საკავშირო მნიშვნელობის კურორტ წყალტუბოსა და მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმს.

ტურისტთა კარგი მომსახურებისათვის საკავშირო ტურიზმის ცენტრალურმა საბჭომ ჟუთაისის ტურისტული ბაზა დაჯილდოვა ვიმპელითა და დიპლომით.

თ. კინწურაშვილი

მგზავრთა სადიდებლად

თიანეთი. („კომუნისტის“ საკ. კორ.). სოფელი ღულელები მდებარეობს ერწოს შეკავებაზე, საბუდარის უღრანი ტყის მახლობლად. აქ ცხოვრობენ სოფელ ღულელიდან გადმოსახლებული ხევსურები, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს დუშეთის გლეხთა აჯანყებაში და დიდ სამამულო ომში. ღულელებში ცხოვრობს პარტიზანული რაზმის ყოფილი მეთაური ვანო ქისტაური. მიუხედავად ხანდაზმულობისა, ვანო კვლავ ხალისით შრომობს. იგი ნიჭიერი მხატვარია. მარშან სწორედ მან შეიტანა წინადადება საერთო ძალით აღემართათ სოფლის სასახლო ადამიანების სადიდებელი ობელისკი. ვანომ თვითონვე შეადგინა ობელისკის ესკიზი.

სოფელმა მხარი დაუჭირა ძველ რევოლუციონერს. კეთილშობილურ საქმეში თავიანთი წვლილი შეიტანეს ადგილობრივი საშუალო სკოლის მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა. ვანო ქისტაურმა მოხატა ობელისკი, რომელსაც ლამაზი ასოებით აწერია: „1918 წელს აქ შედგა ღულელების თემის აჯანყებულ გლეხთა მიტინგი და შეიქმნა ხევსურთა პარტიზანული რაზმი... 1941 წელს აქედან გავაცილეთ სამამულო ომში სამშობლოს კაზრიოტები, რომელთაგან 110 კაცი აღარ დაბრუნებულა“.

ობელისკზე წარწერილია მამაც პარტიზანთა და შინმოუსვლელთა გვარები.

სოფელმა აზვიმა ობელისკის გახსნა, რომელსაც დაესწრნენ სტუმრები დედაქალაქიდან, მეზობელი რაიონებიდან და სოფლებიდან. მიტინგი შესავალი სიტყვით გახსნა პარტიის თიანეთის რაიკომის პირველმა მდივანმა ნ. მგელიაშვილმა. სიტყვები წარმოთქვეს რევოლუციის veteranebma კ. გვალიამ, დ. ბრაგვაძემ და ვ. ქისტაურმა, აგრეთვე თიანეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორმა ი. ბეჟანიშვილმა.

მიტინგზე იყვნენ ძველი რევოლუციონერის სერგო სურგულაძის მეუღლე ე. სურგულაძე, პარტიზანთა შენაერთის ყოფილი მეთაური შაქრო გელოვანი და ყოფილი პარტიზანები ვასილ ქერაული, მათე და შაქრო ჭინჭარაულები.

ა. თომაძე

ეხვედრა მწერლებთან

ცეკავშირის წიგნთა ვაჭრობის სამმართველომ (უფროსი ლ. ჭანტურია) დუშეთის წიგნის მაღაზიაში მოაწყო მკითხველთა შეხვედრა მწერლებთან. მთიელ მკითხველებს ესტუმრნენ მწერლები, პოეტები, ჟურნალისტები: **ლ. გოთუა, ნ. დუმბაძე, ჯ. ჩარკვიანი, ზ. ბოლქვაძე, მ. ფოცხიშვილი.**

შეხვედრა გახსნა დუშეთის სარაიონო ბიბლიოთეკის გამგემ ლ. ჯაზიაშვილმა. ახალგაზრდა მკითხველთა სახელით სტუმრებს მიესალმა მკითხველი ნ. ვალთაური. ნორჩმა მკითხველებმა სტუმრებს ეცოცხალი ყვავილების თაიგულები მიართვეს.

სტუმრების ბატივსაცემად დუშელმა და თბილისის ბორის ძნელაძის სახელობის რესპუბლიკური სახლის პიონერებმა, რომელთა ბანაკი ამჟამად დუშეთშია, გამართეს კონცერტი. ბავშვებმა წაიკითხეს ლექსები და ნაწყვეტები სტუმარი მწერლების ნაწარმოებებიდან.

იმავე დღეს სტუმრები დაბა ფასანაურში შეხვდნენ მოსახლეობას, შემდეგ კი საკოხის მთის სახაფხულო იალაღებზე მწყემსებს ეწვივნენ. მწერლები ესაუბრნენ მკითხველებს თავიანთ შემოქმედებითს გეგმებზე, წაიკითხეს ახალი ნაწარმოებები. მწერლებმა საკოხის მთაზე მყოფ მწყემსებს საჩუქრად თავიანთი წიგნები გადასცეს.

ლ. ხოსროშვილი.

კატრიოტთა ოჯახი

ხაშურის სამხედრო კომისარიატმა ოსაურიოლ კოლმეურნეს თედო გოლგოლიძე ბუხრიკიძეს გადასცა მედალი „სამამულო ომის პარტიზანს“, რომლითაც ის დაჯილდოებულია გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ პარტიზანულ ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის. იგი აღრე დაჯილდოებული იყო აგრეთვე medaliebi III ხარისხის ორდენით და 6 მედლით.

დიდი სამამულო ომის ფრონტებზე იბრძოდა აგრეთვე თედოს 5 ძმა.

ასული ბაგა-ბაღი

ამას წინათ ქალაქ ონში ლენინის ქუჩაზე საექსპლოატაციოდ გადაეცა სბავშვო ბაგა-ბაღის ახალი სამსართულიანი შენობა. იგი გათვალისწინებულია 140 ბავშვისათვის. ბაგა-ბაღისათვის შეძენილია ინვენტარი და სხვადასხვა გასართობი.

ნ. დუშუაშვილი.

ჯადრაპის მერიდიანებზე

ლენინაურლა ივკოვი

ამსტერდამის საერთაშორისო საშაფრაკო ტურნირზე გათამაშდა 6 ტურა. მეხუთე ტურში **შამკოვიჩმა** დაამარცხა ლიდერი ბუგოსლავი გროსმაისტერი **ივკოვი.** ჩეხოსლოვაკიელმა მოქადრაკემ **კავალეკმა** მოუგო **ლანგე